„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ცაბაძე

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * სექტემბერი. 2015 * №(7)15

ლევან ცაბაძე – ლეგენდარული ქართველი მორაგბის სპორტული და პოლიტიკური თამაშები

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი, საფრანგეთში უმაღლეს საკლუბო დონეზე დიდი ხნის განმავლობაში მოთამაშე, ლეგენდარული ქართველი მორაგბე ლევან ცაბაძე დღეს პოლიტიკურ „თამაშებშია“ ჩართული და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ასპინძის მუნიციპალიტეტს ხელმძღვანელობს. იგი ფიქრობს, რომ სარაგბო სფეროში დარჩენა მისთვის ძალიან კარგი იქნებოდა, თუმცა, ახლა, ამ თემაზე საუბარს ერიდება და მთელი ენერგიითაა გადართული მშობლიური კუთხის პრობლემების მოგვარებაზე.

სად უფრო ძნელია ლელოს გატანა და სად უფრო გამტანნი არიან მეგობრები, რაგბში თუ პოლიტიკაში, როგორ შეეგუა ფრანგულ ცხოვრებას და რა მსგავსებას და განსხვავებას ხედავს ფრანგებსა და ქართველებს შორის, რამ მისცა საქართველო-რუმინეთის მორაგბეთა ეროვნული ნაკრებების შერკინებისას მძიმე ტრამვა-მიღებულ კაპიტანს სათამაშო მოედანზე დაბრუნების და გადამწყვეტი ლელოს გატანის ძალა, ამას მასთან ჩაწერილი ინტერვიუდან შეიტყობთ.

– ბატონო ლევან, თქვენ ცნობილი ქართველი რაგბისტი, საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების კაპიტანი იყავით, დიდი ხანი თამაშობდით საფრანგეთში. გვითხარით, რატომ დაბრუნდით საქართველოში, რატომ იყარეთ კენჭი ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებლის პოსტზე 2014 წელს? რამ მიგაღებინათ საჯარო სექტორში წასვლის გადაწყვეტილება?

– მოგესალმებით და მადლობას მოგახსენებთ ინტერვიუსთვის. დავბრუნდი, რადგანაც ვთვლი, რომ ყველა ქართველი, ცხოვრების გარკვეულ პერიოდში, შეიძლება ნავიდეს უცხოეთში, გარკვეული გამოცდილების მისაღებად, მაგრამ მიმაჩნია, რომ ყველა ქართველი უნდა ცხოვრობდეს თავის ქვეყანაში და ემსახურებოდეს თავის ქვეყანას. ერთი ეს, და, მეორე ის, რომ მე ჩემი სამშობლო უზომოდ მიყვარს და ამან მიმაღებინა ეს გადაწყვეტილება, რომ დავბრუნებულიყავი საქართველოში.

რაც შეეხება საჯარო სამსახურს, მოხდა ისე, რომ მომინია საჯარო სამსახურის დაწყება. ხოლო, რაც შეეხება ასპინძას, ყოველთვის ვაცხადებდი ამას, რომ მე ვარ ამაყი, რომ ვარ მესხი. ვთვლი, რომ ეს კუთხე ჩვენი ქვეყნისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი კუთხეა თავისი ადგილმდებარეობით. ისტორიას რომ გადავხედოთ, სამცხე-ჯავახეთი, მესხეთი, ყოველთვის იყო კულტურული და პოლიტიკიური წინამძღოლი ქვეყნისა. როდესაც ამ კუთხეს პრობლემები შეექმნა, საქართველოს შეექმნა მთლიანად პრობლემები. მაგრამ შინაგანად მწამს, რომ ერთ მშვენიერ დღეს, თუ აქაურობა აყვავდება და გაბრწყინდება, ქვეყანაც გაძლიერდება. ეს ჩემი პირადი შეხედულებაა და ძალიან დიდმა სიყვარულმა სამცხე-ჯავახეთისამ განაპირობა ის, რომ მე დღეს ვმოღვაწეობ აქ და ვარ ბედნიერი იმით, რომ კიდევ ერთხელ მომეცა საშუალება ვემსახურო ჩემს სამშობლოს.

– რამდენად რთულია სფერო, სადაც მოღვაწეობთ – გამომდინარე თუნდაც რეგიონის სპეციფიკიდან? სად უფრო ძნელია „ლელოს გატანა“, რაგბიში თუ პოლიტიკაში?

– (იცინის) ლელოს გატანა ისეთი თემა არის ცხოვრებაში, რომ... ჩემთვის ცხოვრება მთლიანად, ლელოს გატანაა. როდესაც სიყვარულით აკეთებ რაღაცას, ეს სირთულეს არ წარმოადგენს. რამდენად რთულია ჩემს პოზიციაზე მუშაობა? მინდა გითხრათ, რომ ჩემთვის ეს სფერო ახალი და რთული იყო, მაგრამ, ნელ-ნელა, როდესაც ცდილობ, რომ იყო კორექტული, ყურადღებით ხარ, რომ არაფერი გამოგეპაროს, ეჩვევი ამ ყველაფერს და სწავლობ. დღესდღეობით, ჩემი გადასახედიდან, არც ისე რთული არის. იმისთვის, რომ იყო რაღაცაში წარმატებული, აუცილებელია სიყვარულით აკეთო საქმე, რაც ყოველთვის შედეგს გაძლევს. ერთი სიტყვით, საკეთებელი ძალიან ბევრი დაგვხვდა და ნელ-ნელა ვაკეთებთ კიდეც.

– ძირითადად რა სახის პრობლემებს აწყდებით და როგორია თქვენი განცდა, როდესაც ამ პრობლემების მოგვარებას ვერ ახერხებთ?

– დღესდღეობით, თვითმმართველობა, ასე ვთქვათ, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. რაც შეეხება პრობლემებს, ასეთ რეგიონებში უამრავი პრობლემაა დაგროვილი. მე, პირადად, მივიღე გადაწყვეტილება, რომ აგვეღო კურსი და მოგვეგვარებინა, დავუშვათ, ერთი ძირითადი პრობლემა, რომ მას აღარასოდეს აღარ დავბრუნებოდით. მაგალითად, ჩემი რაიონის სოფლების 90% -ს არ ჰქონდა მისასვლელი გზა, იყო კატასტროფული მდგომარეობა და გადავწყვიტე, რომ ჩემს ოთხწლიან პერიოდში აბსოლუტურად მომეგვარებინა ყველა სოფელში მისასვლელი გზის პრობლემა. ჯერჯერობით წარმატებით მივყვებით ამ გეგმას და ვთვლი, რომ, თუ ასე გავაგრძელებთ, 2017 წლისთვის აღარ დარჩება ისეთი სოფელი, სადაც იქნება ასფალტიანი გზის პრობლემა.

არის უამრავი პრობლემა, რომელსაც ვერ ვწყვეტთ ჯერჯერობით იმიტომ, რომ, მოგეხსენებათ, ჩვენი მუნიციპალიტეტი არ არის მდიდარი, ტრანსფერზეა ძირითადად დამოკიდებული. შემოსავალი ცენტრალური ბიუჯეტიდან არის და, აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ჩვენი მთავრობა სტრატეგიულ გეგმას მიყვება, რომ განვითარდნენ რეგიონები და ერთ მშვენიერ დღეს მივაღწევთ, რომ ასპინძაც ერთ-ერთი მდიდარი რაიონი გახდეს და ამის მერე შეიძლება ძალიან ბევრი ისეთი პრობლემის გადაჭრა, რომელიც დღეს შეუძლებლად მიმაჩნია. მაგალითად, ასეთ საკითხად მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მიმაჩნია. ასპინძაში მცხოვრებთა დაახლოებით 85% არის სიღარიბის ზღვარს მიღმა. სამწუხაროდ, ძალიან მწყდება გული, რომ ვერ ვეხმარებით მათ ამ ეტაპზე, გარდა იმისა, რომ ასეთი ოჯახები იღებენ სოციალურ შემწეობებს, მაგრამ ასე ხომ არ უნდა გაგრძელდეს სულ?

– რა პროექტების განხორციელება შეძელით თქვენი გამგებლის პოსტზე ყოფნის პერიოდში?

– იცით, რაშია საქმე? 2013 წლის მაისიდან ვარ ხალხის მიერ არჩეული გამგებელი და, როგორც უკვე გითხარით, მიმართულება ავიღეთ იქით, რომ მსხვილი პრობლემები გადაგვეჭრა. ეს მიმართულება არის საგზაო ინფრასტრუქტურის მონესრიგება. დავიწყეთ და ზოგან უკვე განვახორციელეთ უსერიოზულესი პროექტები. ისეთ ადგილებში მოგვიწია გზების მოასფალტება, სადაც კომუნისტების დროსაც კი არ ყოფილა ასფალტი დაგებული. დღესდღეობით უკვე მოგვარებულია სოფლების ნაწილში ეს პრობლემა. თუ კი უგზოობის გამო ადრე 3 საათი იყო საჭირო რაღაც მონაკვეთის გასავლელად, ახლა ეს დრო 25 წუთამდე შემცირდა. სოფლების დიდ

ნაწილში შეყვანილია ბუნებრივი გაზი, სასმელი წყალი. ყველა ოჯახს აქვს სახნავ-სათესი მიწა და აქვთ იმის საშუალება, რომ მისდიონ მესაქონლეობას. აქედან გამომდინარე, ყოველივე ეს ხელს უწყობს აქაურ მცხოვრებლებს, რომ წელგამართულნი იყვნენ. ასევე აღვადგინეთ სარწყავი სისტემები; მეხსიერება თუ არ მღალატობს, დაახლოებით 10-12 წელია დაბაში სარწყავი წყლის სისტემა აღარ არსებობდა, რაც სერიოზულ პრობლემას ქმნიდა. ჩავატარეთ მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოები და დღესდღეობით თითოეულმა გლეხმა შეიძლება მორწყას თავისი ტერიტორია, რაც აისახა კიდეც ხვნის შედეგზე. აგრეთვე, ჩვენს მიერ მოხდა მოზიდვა, მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით, მსოფლიო ბანკიდან თანხების, – გრანტის სახით მოპოვება, რომლითაც ვარემონტებთ დაბაში არსებულ საბავშვო ბაღებს, სადაც კატასტროფული მდგომარეობა იყო. მე მრცხვენოდა იმ ბავშვების მშობლებისთვის თვალებში შეხედვა, ისეთი ანტისანიტარია და საშინელი მდგომარეობა იყო. სულ რამდენიმე თვეში მივიღებთ ევროპული სტანდარტის საბავშვო ბაღებს, რაც ჩვენთვის ასევე საამაყოა. სერიოზული სამუშაოების გაკეთება მოვასწარით ამ დროში და, ვფიქრობ, – კიდევ უფრო ბევრს გავაკეთებთ დარჩენილ დროში.

– თქვენი ასპინძის გამგებლად არჩევიდან ერთ წელზე მეტი გავიდა. რამდენად შეძელით, ამ ხნის განმავლობაში, საარჩევნოდ გაცემული დაპირებების და თქვენი პროგრამის შესრულება?

– ჩემი საარჩევნო დაპირება რაც იყო, ვთვლი, რომ სანამ ჩემი გამგებლობის პერიოდი დამთავრდება, ძირითადი რაც იყო დაპირება, შესრულდება 98% მაინც. ერთ-ერთი ჩემი დაპირება იყო რძის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა, რისი დაფუძნებაც ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა გარკვეული მიზეზების გამო და ვეცდები მომავალში შევასრულო.

– გაქვთ თუ არა უცხოეთის რომელიმე ქვეყნის ქალაქთან ან რაიონთან რაიმე ფორმის ურთიერთობა დამყარებული იქედან გამომდინარე, რომ მათი გამოცდილება გაიზიაროთ?

– ამ ეტაპზე ასეთი ურთიერთობა არ გაგვაჩნია, მაგრამ კარგი იქნებოდა თუ მოვახერხებდით კავშირების დამყარებას, რომ მიგვეღო მეტი გამოცდილება ამა თუ იმ დარგში.

– თქვენი გადმოსახედიდან, რამდენად არის ცენტრალური ხელისუფლება რეგიონების განვითარებით დაინტერესებული?

– იცით რაშია საქმე? უამრავი პროგრამა ამუშავდა. მაგალითად, ხვნა-თესვის ვაუჩერებზე თუ ვილაპარაკებთ, ამან გამოიწვია ის, რომ 100-დან დაახლოებით 1000 ჰექტარი მიწის დამუშავებამდე ავედით. ეს, რა თქმა უნდა, სოფლის მეურნეობის პროგრამის ამოქმედებამ განაპირობა. გარდა იმისა, რომ ჩვენც ხელს ვუწყობთ და პირობებს ვქმნით, ეს პროცესი მაინც ამ პროგრამის ძალიან დიდი დამსახურებაა. ხელისუფლება ცდილობს, რომ ხელი შეუწყოს რეგიონების განვითარებას.

– რის გამო გაკრიტიკებენ ხოლმე ოპო-

დასასრული მე–2 გვ.



ნენტები და როგორია თქვენი რეაქცია, რამდენადაა სამართლიანი მათი მხრიდან წამოსული კრიტიკა?

– ყველასთვის კარგი ნამდვილად ვერ იქნები. სამწუხაროდ, თავიდანვე აღვნიშნე, რომ უამრავი პრობლემა იყო დაგროვებული წლების განმავლობაში, რის გადაწყვეტასაც არ ეყოფა ერთი და ორი წელი. ჩვენ პრიორიტეტად დავისახეთ გარკვეული მიმართულებების მოწესრიგება, მაგრამ რაღაც შეიძლება რჩებოდეს მოუგვარებელი და როდესაც ჩასაფრებულ პოზიციაში ყოფნას ირჩევ, არ არსებობს რაღაც არ დაინახო. ოპონენტები სწორედ ასეთი საკითხების აფიშირებას ეწევიან, ისინი ყოველთვის პოულობენ ისეთ პრობლემებს, რასაც მარტო თვითმმართველობა ვერ მოაგვარებს, – ქვეყანაშია მთლიანად ბევრი რამ მოსანესრიგებელი ზოგადად და ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მოხდეს აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა.

– რაგბს დავუბრუნდეთ: თქვენზე ერთგვარი ლეგენდაა შექმნილი – როგორც ცნობილია, რუმინეთთან გადამწყვეტი მატჩის დროს მძიმე ტრამვა მიიღეთ, მიუხედავად ამისა, თამაშს მაინც არ გამოეთიშეთ და გადამწყვეტი ლელოც გაიტანეთ. როგორ გაიხსენებთ ამ თამაშს, როდის ჩატარდა ის, რა ანგარიშით დასრულდა და რამ მოგცათ თქვენ სათამაშო მოედანზე დაბრუნების ძალა?

– კი, ნამდვილად მძიმე ტრამვა მივიღე ამ თამაშზე, რომელიც შემდეგში კარიერის ნაადრევად დასრულების მიზეზიც კი აღმოჩნდა. მაგრამ მე მაინც ბედნიერი ვარ და არც ერთი წამით არ ვნანობ იმას, რომ ეგ ნაბიჯი გადავდგი და მოედანზე დავბრუნდი, რადგანაც მაშინ რუმინეთი ჩვენზე გაცილებით ძლიერი ნაკრები იყო. 1999 წლის მსოფლიო ასპარეზობაზე შანსი რუმინეთმა დაგვაკარგვინა, ზუსტად იმიტომ, რომ გამოცდილებით გვჯობდა. და ამ თამაშზე მოხდა ისე, რომ ჩვენ ძალიან ბევრ რგოლში დავჯაბნეთ ისინი და თამაშს სოლიდურადაც ვიგებდით, მაგრამ, მოგეხსენებათ, იმდროინდელ ნაკრებში ძალიან ბევრი გამოცდილი მოთამაშე არც გვყავდა, სულ რამდენიმე იყო მაღალი დონის მოთამაშე და მათზე იყო მთელი თამაშის სისტემა აწყობილი. ჩემმა ტრამვამ გამოიწვია ის, რომ თამაშის სადავეები გაგვექცა ხელიდან. ამან, ალბათ, მორალურ მხარეზეც იმოქმედა. ძნელია, როდესაც ვიღაცის იმედი გაქვს და, უცბად, ხელიდან გეცლება. მე ვიგრძენი ის, რომ იმ თამაშს წავაგებდით. სიმართლე რომ გითხრათ, ჩემი მოედანზე დაბრუნებით ბევრი აღარაფერი გამიკეთებია, იმიტომ, რომ ისეთი საშინელი ტკივილი მქონდა, განძრევაც მიჭირდა, მაგრამ, ალბათ, ახალგაზრდებს ჩემი იქ ყოფნით მეტი მოტივაცია და იმედი ჰქონდათ. საბოლოო ჯამში კი მივაღწიეთ იმას, რომ ის სტერეოტიპი, რასაც ერქვა რუმინეთი, დავარღვიეთ და, დღესდღეობით, თქვენი თვალით ხედავთ, რომ რუმინეთი ისეთ ძალას აღარ წარმოადგენს. ანგარიში მართლა აღარ მახსოვს (იცინის).

– საფრანგეთში უმაღლეს საკლუბო დონეზე თამაში დიდი ხანი მოგიწიათ (1996-2004). როგორ გაიხსენებთ ამ წლებს? უპირველესად, მაინტერესებს, როგორ შეეგუეთ ფრანგულ ცხოვრებას? რით ვგავართ ან განვსხვავდებით ქართველები ფრანგებისაგან?

– მე საკმაოდ ახალგაზრდულ ასაკში მომიწია წასვლა, აქედან გამომდინარე, ადაპტაციაც არ გამჭირვებია, ხანდახან ვხუმრობდი კიდეც, რძიანი ყავის დღეში ვარ-მეთქი. რა შუაშიაო რძიანი ყავაო, იტყვით. და, აბა მითხარით-მეთქი, რძიანი ყავა უფრო რძეა, თუ ყავა-თქო... (იცინის) ჰოდა, ნამდვილად არ გამჭირვებია. მსგავსება, რა თქმა უნდა, არის. ფრანგები ჩვენსავით ადვილად პოულობენ გამოსავალს, მაგრამ კონცენტრაცია უფრო შეუძლიათ და რაღაც გარკვეული მიზნის გარშემო უფრო დიდ ხანს შეუძლიათ ტრიალი. რევოლუციური სულის მქონე ადამიანები არიან. შეიძლება უცბად გააკეთონ მობილიზება და რაღაც სასწაული ჩაიდინონ. მაგალითად, ავიაციაში კონკორდი აქვთ ბოლო-ბოლო გამოგონილი, თვით სამგზავრო თვითმფრინავი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი იყო, ყველაზე სწრაფი მატარებელიც ფრანგების შექმნილია. ბოლოს და ბოლოს, ასწლიანი ომი აქვთ წარმოებული ინგლისთან, რაც ჩემთვის გასაოცარია. როგორ შეიძლება ასი წელი იომო და მაინც მიაღწიო მიზანს. ბევრ რამეში გვგვანან, მაგრამ ბევრ რამეში შეიძლება მაგალითი ავიღოთ მათგან.

– ვინ არიან ლევან ცაბაძის მეგობრები? რა ურთიერთობა გაქვთ ყოფილ თანაგუნდელებთან, როგორც ფრანგებთან, ისე ქართველებთან და დღემდე ვისთან მეგობრობთ?

– იცით რა არის? რაგბი მარტო სპორტი არ არის. რაგბი არის ანტიკური ხანის ბრძოლა, ანუ რაგბის წესები იგივეა, რაც ბრძოლის წესები, აქედან გამომდინარე, მე ჩემს თანაგუნდელებს ვერ დავარქმევ მარტო თანაგუნდელებს, ისინი ჩემი თანამებრძოლები არიან და იცით თქვენ, რომ ბრძოლაში მიღებული გამოცდილება და მეგობრობა ცოტა სხვანაირია. აქედან გამომდინარე, მინდა ვთქვა, რომ თითოეულ მათგანთან, ვისთან ერთადაც მითამაშია, საუკეთესო ურთიერთობა მაქვს, ვიღაცასთან უფრო ინტენსიური, ვიღაცასთან უფრო ნაკლები, იქედან გამომდინარე, რომ ყოველდღიურად ვერ ვხვდებით, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არც აქვს. მე 24 საათი მზად ვარ, მათ გვერდით დავუდგე, თითოეულ მათგანს, ქართველი იქნება თუ უცხოელი, ყველანაირ საქმეში, ჭირი იქნება თუ ლხინი.

– პოლიტიკოსებიდან ვისთან მეგობრობთ? რამდენად სანდო მეგობრებად მიგაჩნიათ პოლიტიკოსები?

– თუ კაცს მეგობრად თვლი, მე მგონია, რომ, ესე იგი, სანდოა. სხვა შემთხვევაში მეგობრად არ ჩავთვლი და, უბრალოდ, კოლეგად მივიჩნევ.

– ხომ არ გიფიქრიათ იმაზე, რომ პოლიტიკის ნაცვლად რაგბის სფეროში იქნებოდა თქვენი დარჩენა უფრო კარგი? ვგულისხმობ თუნდაც იმას, რომ დღევანდელი გადმოსახედიდან თქვენი საფრანგეთში დარჩენა და იქ სამწვრთნელო კარიერის გაგრძელება ყოფილიყო მაგალითად უფრო გამართლებული ან, თუნდაც, იგივეს გაკეთება საქართველოში?

– რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, იმიტომ რომ ეს ერთ-ერთი ისეთი თემაა, რომ, ასე ვთქვათ, შესისხლხორცებული მაქვს და ძალიან კარგად ვიცნობ, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ჩვენ, მორაგბეებს ეს კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ საქმეს ვაკეთებთ ყველა, მაგრამ ხელმძღვანელობს ერთი. აქედან გამომდინარე, როდესაც მე დავბრუნდი საქართველოში, მიმართულება მათ დასახული ჰქონდათ და მიდის და ვითარდება იმ კუთხით რაგბი. თუ საჭირო გახდება, მზად ვარ გვერდით დავუდგე. ძალიან გამიხარდებოდა, რაგბში რომ ვმოღვაწეობდე, მაგრამ არ მოხდა ასე, ცოტა რთული ასახსნელია.

– დღევანდელ ქართულ რაგბს როგორ შეაფასებდით? როგორი თაობა მოდის ამ კუთხით? სადღეისოდ რეგიონებში, მათ შორის ასპინძაში, არის თუ არა იმის პოტენციალი, რომ სპორტის ეს სახეობა განვითარდეს?

– რა თქმა უნდა, რაგბი ვითარდება და თან ძალიან სწრაფად, დიდი ნაბიჯებით, უფრო სწორედ, ისე სწრაფად არა, როგორც უნდა ვითარდებოდეს, მაგრამ მაინც წინ მიდის. ასპინძაშიც არის ერთ-ერთი საუკეთესო რაგბის ბაზა. მოგახსენებთ, რომ ასპინძა არ არის მდიდარი რაიონი და, აქედან გამომდინარე, ჭირს პროფესიონალურ დონეზე ამ საქმის განვითარება, მაგრამ ვითარდება ეს სფერო ახალგაზრდულ დონეზე, ანუ გვაქვს რაგბის სკოლა, სადაც ბავშვები დადიან და ეუფლებიან რაგბის ხელოვნებას. შემდეგ როდესაც აღწევენ შესაბამის ასაკს, აღმოჩნდებიან ნიჭიერები და ნათლად ჩანს, რომ კარგი მომავალი აქვს, ეს ბავშვები განაგრძობენ მოღვაწეობას სხვადასხვა ქართულ კლუბში. მაგალითად, მელიქიძემ, რომელიც არის ასპინძის სკოლის აღზრდილი, რუსთავში განაგრძო კარიერა და დღეს ისიც საფრანგეთში წავიდა სათამაშოდ, ერთ-ერთ წამყვან სარაგბო კლუბთან აქვს ხელშეკრულება დადებული, რაც ჩემთვის არის საამაყო. ასევე, ვფიქრობთ, რომ კარგი იქნებოდა, თუ მთელი რეგიონიც მიიღებდა პროფესიულ რაგბში მონაწილეობას. ამას ერთი მუნიციპალიტეტი ვერ გასწვდება და ვფიქრობთ, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონმა, ანუ ექვსივე მუნიციპალიტეტმა რაიმე საერთო გზა გამოვნახოთ და დავაფინანსოთ ერთი დიდი გუნდი, სადაც ჩვენს სკოლებში გაზრდილი ახალგაზრდები განაგრძობენ მოღვაწეობას და საქართველოს ტიტულის მოსაპოვებლად ბრძოლას.

– როგორ ფიქრობთ, რა არის თქვენი ცხოვრების მთავარი ლელო?

– უი, (იცინის), ძალიან ღრმა და ფართოა ჩემი ცხოვრების მიზანი. როგორ გითხრათ, მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იმიტომ, რომ ძალიან ბევრ რამეს მოიცავს ეს. არ შემოვიფარგლები ოჯახით მარტო. ოჯახი ძალიან მიყვარს, მაგრამ ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი არის ჩემი ქვეყანა. თუ ჩემი ქვეყანა იქნება საუკეთესო ქვეყნებს შორის, წელგამართული, ამაყი და, რაც მთავარია, ერთიანი, ჩავთვლი, რომ მეც, ჩემი ოჯახიც და მეგობრებიც ვიქნებით კარგად.

ნათია მელქაძე,
გადმობეჭდილია „Guardian.ge“-დან
24-07-2015

საჯარო სკოლები მზად არიან ახალი სასწავლო წლისთვის

საგანმანათლებლო რესურსცენტრი, როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო, თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (№31. 17.01.2006წ.) დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპიური დებულების საფუძველზე, რესურსცენტრის წლიური სამოქმედო გეგმისა და იმ პრიორიტეტების შესაბამისად, რომელიც დგას განათლების სისტემისა, კერძოდ, რესურსცენტრისა და მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების წინაშე.

ეს გულისხმობს, პირველ რიგში, სკოლებისთვის ღირსეული ფუნქციების დაბრუნებას და იმ გამოწვევებისა და ინიციატივების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მათი საქმიანობის წარმართვას გაუმჯობესებული სახელმძღვანელოებით ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ასევე სასკოლო ატესტატის მნიშვნელობის გაზრდას, მოსწავლეთა აქტივობასა და სასწავლო პროცესში ჩართულობას, მასწავლებელთა მოტივაციას, პროფესიულ სრულყოფას, ურთიერთთანამშრომლობას, არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერებას, ინკლუზიას, სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში სკოლების ჩართვას და ა.შ.

საჯარო სკოლები რესურსცენტრის მეშვეობით ოპერატიულად იღებენ სამინისტროდან გადმოცემულ საგანმანათლებლო რესურსებს, სასკოლო სახელმძღვანელოებს, გაზეთ „ახალ განათლებასა“ და ჟურნალ „მასწავლებლის“ ახალ ნომრებს. თვალსაჩინოებებსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო მასალებს, აგრეთვე ინფორმაციას ახალი პროექტებისა და კონკურსების შესახებ.

სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროებათა გამოვლენისას შუამდგომლობას ვუწევთ სკოლების დირექციებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წინაშე, ამჟამად მიმდინარეობს ჭობარეთისა და იდუმალის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, ნაქალაქევსა და ორგორის საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოები, რომლებიც ხორციელდება სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით. საკუთარი სახსრებით დაგეგმილია რუსთავისა და ხერთვისის საჯარო სკოლებში სარემონტო სამუშაოები.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამით მოეწყობა სამედიცინო მომსახურების ოთახები ნაქალაქევისა და დამალის საჯარო სკოლებში.

ყველა საჯარო სკოლა მომარაგებულია საკმაო რაოდენობის საწვავი შეშით.

2015-2016 სასწავლო წლისთვის მზადება ორგანიზებულად მიმდინარეობს ტერიტორიული ერთეულის ყველა საჯარო სკოლაში. სასწავლო წლის დაწყებამდე მოვამზადეთ და სამინისტროს მივაწოდეთ სრული ინფორმაცია სახელმძღვანელოების არჩევანისა და სკოლებში არსებული სახელმძღვანელოების მდგომარეობის შესახებ (ყველა წიგნი შეფასდა ქულებით გამოყენებისათვის ვარგისიანობის შესაბამისად). საჯარო სკოლის მოსწავლეები უფასოდ მიიღებენ სახელმძღვანელოებს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყო სკოლების მომარაგება საკლასო ჟურნალებით, თვალსაჩინო მასალებით, სასკოლო ავეჯით, კომპიუტერული ტექნიკით, ასევე ეტაპობრივად მიიღებენ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის განახლებულ აღჭურვილობას.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის შესაბამისად გაუმჯობესდა სატრანსპორტო მომსახურება – ავტობუსი ემსახურება რამდენიმე მარშრუტს – ასპინძის, ოთის, იდუმალის, ნიჯგორის, აწყვიტის, ხერთვისის, ოშორის, სარო-ხიზაბავრის, ტოლოშის, ნაქალაქევის საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის.

ყველა სკოლაში მოქმედებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011-2015 წლების ელექტრონული სტრატეგიის ფარგლებში მართვის ახალი საინფორმაციო სისტემა Estudents, რომლის მეშვეობითაც სკოლას საშუალება აქვს გადაამოწმოს და ცვლილებები შეიტანოს მოსწავლეთა და პედაგოგთა ბაზაში, აირჩიოს სახელმძღვანელოები, მოახდინოს სოციალურად დაუცველი, სსსმ მოსწავლეების ინდეფიცირება და ა.შ.

ყველა საჯარო სკოლა ჩართულია ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში eFLow, შესაბამისად, ტრენინგი ჩაუტარდათ სკოლების დირექციის წარმომადგენლებს.

გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია პირველკლასელთა ნეტბუქები როგორც ვიზუალურად, ისე ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლებით. საჯარო სკოლის ყველა პირველკლასელი და მათი დამრიგებლები მიიღებენ ახალ ნეტბუქს.

სამწუხაროდ, წინასწარი მონაცემებით, პირველი კლასი არ ეყოლება სოფელ საროს საჯარო სკოლას.

რესურსცენტრის დებულების შესაბამისად, რეგულარულად ვახორციელებთ სკოლების მონიტორინგს. საჯარო სკოლებში არსებული ყველა პრობლემის შესახებ ინფორმირებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დღეისათვის სერიოზული სასწავლო პროცესის დასაწყებად ხელისშემშლელი პრობლემა არც ერთ სკოლას არ აქვს.

ტრისტან მურადაშვილი,
ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

დამალა გუშინ, დღეს, ხვალ

გაზეთ „ასპინძის სიახლენის“ რედაქცია იწყებს ახალ რუბრიკას – „ჩვენი სოფელი“, სადაც მოგითხრობთ ასპინძის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების შესახებ, იქ მცხოვრებ ადამიანთა დღევანდელ საქმიანობაზე, პრობლემებზე, ხვალინდელ დღეზე...
ნომრის სტუმარია სოფელი დამალა.

დამალა – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში. მოსახლეობის რაოდენობა – 1965, მათ შორის პენსიონერია 408, შინა მეურნეობათა რაოდენობა (ოჯახი) – 467, მრავალშვილიანი ოჯახი (4 და მეტი ბავშვი) – 5. სოფელში ძირითადად სომხური მოსახლეობაა.

აქვთ ერთი საჯარო სკოლა, კულტურის სახლი და რიტუალების სახლი. სოფელს ემსახურება სოფლის ექიმი. საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებები – საქართველოს ცენტრალური არხები, უცხოეთის ტელეარხები, სატელეფონო მობილური კავშირი, ადგილობრივი და ცენტრალური გაზეთები. სოფელში არის 6 მინი მარკეტი და ერთი პურის საცხობი; მანძილი მუნიციპალიტეტის ცენტრამდე 4,5 კილომეტრი, გზა მთლიანად მოასფალტებულია.

ამავე დროს მოხდა მისი გაზიფიცირება. ელექტროენერგიის მიმწოდებელია „ენერგო პრო ჯორჯია“ და მთლიანად გამრიცხველიანებულია. რაც შეეხება სასმელ წყალს – აქვთ ბუნებრივი წყაროები, მოქმედებს ორი რეზერვუარი. მოსახელობას წყალი მიეწოდება გრაფიკით. მაგისტრალის მთლიანი სიგრძე 8 კილომეტრია. რეზერვუარი და სათავო ნაგებობა საჭიროებს რემონტს, რადგან ერთი ექსპლოატაციაში გადაცემულია 1956 წელს, ხოლო მეორე – 1989 წელს. რაც შეეხება სარწყავი წყლის არხებს – აქ გრავიტაციული თვითდინებითი არხებია, მაგისტრალის სიგრძე კი შეადგენს 12 კილომეტრს. რეალურად გასარწყავებულია 27 ჰექტარი, მომავალში შესაძლებელია გასარწყავდეს დაახლოებით 110 ჰექტარი.

სოფელში ძირითადად საარსებო საშუალება სოფლის მეურნეობაა – მესაქონლეობა და მემინდვრეობა. თესავენ ქერს, კარტოფის, მოჰყავთ ხახვი, ნიორი, პამიდორი, კიტრი და სხვა ბოსტნეული კულტურები; ხილიდან – ქლიავი, ვაშლი, მსხალი, კაკალი. ზოგიერთი ოჯახი მისდევს მეფუტკრეობას.

ვეტერინალური მომსახურება – სახელმწიფო და კერძო ვეტმომსახურება.

ახლახან შევხვდით სოფლის მაჟორიტარ დეპუტატს ასპინძის საკრებულოში ემინ ბალოიანს და ვთხოვეთ რამდენიმე კითხვაზე გაეცა პასუხი:

– სოფლის მოსახლეობის მხარდაჭერის პროგრამით დაიწყო შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებს რკინა-ბეტონის, სანიაღვრე არხების და გზების სავალი ნაწილების ბეტონით მოწყობას, ასევე გაკეთდა გარე განათება 1200 მეტრის სიგრძეზე.

2014 წლის 12 მაისს სტიქიის დროს ნიაღვარმა წაიღო დამალის ხევი 170 მეტრის სიგრძეზე, ამ ეტაპზე მთლიანად აღდგენილია და სოფლის 100-მდე ოჯახს უკვე საშუალება აქვს ნორმალურად დაუკავშირდნენ ცენტრალურ გზას. 2014 - 2015 წლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილია 68000 ლარი.

ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის გურგენ თუმასიანის თქმით – ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ენის ბარიერია. ვცდილობთ მოსახლეობის ინტეგრაციას და მათი ყოველი პრობლემის გადაჭრას. ამ ეტაპზე საჯარო რეესტრში მიმდინარეობს მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია, რომელიც გარკვეულ წინააღმდეგობასთან არის კანონთან მიმართებაში. აქ ვგულისხმობთ მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც მიღებული აქვს აგრეთვე სხვა ქვეყნის მოქალაქეობა; როგორც ყველგან, ჩვენთანაც პრობლემაა დასაქმება და სამუშაო ადგილები.

სოფელ დამალაში ოცდაათამდე ოჯახი ღებულობს სოციალურ დახმარებას, ეს მათთვის საარსებო საშუალებაა, მაგრამ, ამ ეტაპზე, თითქმის ყველას შეუჩერდა დახმარება. ვფიქრობთ, მომავალში შესაბამისმა ორგანოებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ სოფლის რწმუნებულებისა და დეპუტატების აზრიც, რადგან მათ კარგად იციან თუ ვის უჭირს ყველაზე მეტად სოფელში.

აქვე მინდა მადლიერებით აღვნიშნო საქველმოქმედო ფონდის მიერ გაკეთებულ საქმეებზე, რომელიც ძირითადად ფინანსდება დამალიდან წასული ჩვენი თანამემამულეების მიერ და რომელთაც აქვთ ფინანსური საშუალებები, თავიანთი წვლილი შეიტანონ სოფლის კეთილდღეობისათვის.

საქველმოქმედო ფონდის სახსრებით მოხდა სოფლის სასაფლაოს შემოღობვა, 1941-1945 წლების მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალური კომპლექსის აღდგენა, ასევე სოფელში რესტავრაცია ჩაუტარდა და მოქმედებს ეკლესია, ასევე გავარემონტეთ სოფლის წარმომადგენლის საოფისე ორი ოთახი.

კულტურის სახლის სპეციალისტმა ვარსენიკ საღათელიანმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ სოფელში მოქმედებს ცეკვის ჯგუფი და გიტარის შემსწავლელი წრე, მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა ღონისძიებებში, როგორც სოფელში, ასევე რაიონულ ცენტრში ჩატარებულ ფესტივალებში და კონცერტებში.



სოფელ დამალის საჯარო სკოლაში როგორც კი გადავაბიჯეთ ეზოს ზღურბლს, უკვე იგრძნობა ნამდვილი მეურნის ხელი. ეს კი, თავისთავად, დამალის საჯარო სკოლის დირექტორის ქალბატონ ნელი დუდუქჩიანის დამსახურებაა. სკოლაში 257 მოსწავლეა. წელს პირველ კლასში 13 ბავშვი შევა. მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებია სხვა წლებთან შედარებით, როგორც ყველგან, აქაც დემოგრაფიული პრობლემაა.

ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის აქ ყველაფერი სათანადოდ არის მომზადებული. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ტრადიციისამებრ პირველკლასელებს გადასცემს ნოუთბუქებს და უფასო სახელმძღვანელოებს.თავის მხრივ, დამალის საჯარო სკოლის დირექცია პირველკლასელებს გადასცემს სიმბოლურ საჩუქრებს – სანერ კალმებს, სახატავ რვეულებს, ფანქრებს და ფლომასტერებს.

სოფლის მთავარი პრობლემა მაინც მიგრაციაა. ეს ერთ-ერთი ძირითადია. უკვე ძალიან ძნელია ახალგაზრდების დამაგრება სოფელში, ისინი ვინც ახერხებენ და ქვეყნიდან გადიან, თითქმის უკან აღარ ბრუნდებიან. დაბალია შობადობაც...

მოსაგვარებელია სასმელი და სარწყავი წყლით სოფლის უზრუნველყოფა, უნდა მოხდეს სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია, ასევე სოფელი საჭიროებს თანამედროვე ტიპის ჯანდაცვის ობიექტს და საბავშვო ბაღს, კაპიტალურ რემონტს – კულტურის სახლი და ა.შ..

მანანა კიკნაძე

ბოსტნეულის შენახვა სასაწყობო მეურნეობებში თქვენი ფინანსური უზრუნველყოფის გარანტია

ხანგრძლივი დროით ხილის და ბოსტნეულის შენახვაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს საცავის წინასწარი მომზადება. მოსამზადებელი სამუშაოები შემდეგ ეტაპებად უნდა დავყოთ:

1.საცავის დასუფთავება;

2.დეზინფექცია (დაავადების გამომწვევი მიკრობების მოცილება) და მღრღნელების განადგურება;

3.საცავისა და ინვენტარის რემონტი.

საცავი უნდა გასუფთავდეს პროდუქციის უკანასკნელი პარტიის გატანისთანავე. სათავსოები უნდა გამოიგავოს, სველი წესით გაიწმინდოს, სადიზენფექციო ხსნარით დამუშავდეს და გარკვეული დროით დაყოვნების შემდეგ კარგად უნდა განიავდეს.

დაბინძურებული ადგილები განსაკუთრებით უნდა დამუშავდეს 400 მგ/ლ კონცენტრაციის აქტიური ქლორის ხსნარით. სადენზიფექციო ხსნარის ზემოქმედების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5-10 წუთს.

სანიტარული დღის მოწყობა აუცილებელია თვეში ერთხელ მაინც. იგი მოიცავს საწყობის დასუფთავებას მშრალი და სველი წესით. აუცილებელია დამპალი ნაყოფების გამორჩევა მთლიანად მასიდან და საწყობიდან გამოტანა, საჭიროების შემთხვევაში დეზინფექციის ჩატარება.

ნედლეულს, შეძლებისდაგვარად, მშრალ ამინდში იღებენ ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული მისი დაჭყლეტვა და სხვა მექანიკური დაზიანება.

ტუბერებს მიწიდან ამოღების შემდეგ ყრიან პატარა გროვებად, დაჭკნობის თავიდან აცილების და მზის სხივებისაგან დასაცავად აფარებენ ბალახს ან ნამჯას, რომელიც ჰაერს კარგად ატარებენ.

ფარდულში გადატანის შემდეგ ხდება ნედლეულის დახარისხება ზომების მიხედვით. ცილდება დაზიანებული ნაყოფები, გრილდება და შრება. ინტენსიური ვენტილაციის გამოყენების შემდეგ ხდება გადატანა სტანდარტულ საცავებში.

გაგაცნობთ ზოგიერთი სასოფლო სამეურნეო პროდუქტის შენახვის წესებს:

სტაფილო – მომწიფებულად ითვლება მაშინ, როდესაც იგი მიაღწევს ჯიშისათვის დამახასიათებელ შეფერილობას და ზომას. ირეცხება წყლით და ეწყობა გასაშრობად კარგი ვენტილაციის მქონე ფარდულში 2-3 დღე. ახალი და კარგი ხარისხის ნედლეული მკვრივი სტრუქტურით გამოირჩევა. მექანუკურად დაზიანებული ნაყოფი აუცილებლად უნდა მოცილდეს ძირითად მასას და გადამუშავდეს სხვა ტექნოლოგიების პროცესში.

საადრეო სტაფილოს შენახვის ტემპერატურული ზღვარია 0 – 1 გრადუსი, შენახვის ვადა – 1-2 თვე, ხოლო საგვიანო სტაფილო ინახება 3-5 თვე.

ნიორი – მოსავალს იღებენ როცა ფოთლები იწყებენ ჭკნობას, აჭრიან ზედმეტ ნაწილებს და აშრობენ ფარდულში, რომელიც კარგად ნიავდება 2-3 დღის განმავლობაში, შემდეგ გადააქვთ საცავში. დაუშვებელია დამპალი ნაყოფის მოხვედრა შესანახ მასაში. ნიორი ინახება 0 – 1 გრადუსზე 4-7 თვე.

ხახვი – მოსავალს იღებენ როდესაც ფოჩები იწყებენ ჭკნობას და ბოლქვები მკვრივდებიან. დამპალი, მექანიკურად დაზიანებული ნაყოფის მოხვედრა შესანახ მასაში დაუშვებელია. აღების შემდეგ ათავსებენ ღია ტიპის ფარდულში 3-4 კვირის განმავლობაში, რომ კარგად გამოშრეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ლპობის პროცესი გარდაუვალია. ხახვი ასევე ინახება 0-1 გრადუს ტემპერატურაზე 4-7 თვის განმავლობაში.

კარტოფილის აღების ვადები დამოკიდებულია კარტოფილის ჯიშზე და გარემო პირობებზე. იგი მომწიფებულად ითვლება, როდესაც ზედაპირი მიიღებს ყვითელ შეფერილობას. მაღალი სიცხის პირობებში კარტოფილის დატოვება ნიადაგში არ არის მიზანშეწონილი, რადგან გამოიწვევს მის გადამწიფებას და შენახვის უნარიანობას დააქვეითებს. დაავადებული და დაზიანებული ტუბერები არ უნდა დატოვოთ ნიადაგში, დაგროვების შემდეგ უნდა გადავიტანოთ კარგი ვენტილაციის მქონე ბნელ საცავში, სადაც ხდება მისი ზედაპირის შეშრობა და დაზიანებული ნაწილების აღდგენა.

კარტოფილის ტუბერების გამწვანების თავიდან აცილების მიზნით, საცავში იყენებენ წითელ განათებას.

საადრეო კარტოფილს ინახავენ 8-10 გრადუსზე ერთი თვის განმავლობაში, ხოლო საგვიანო კარტოფილის შენახვის ტემპერეტურული ზღვარი 4-9 გრადუსია, შენახვის ვადა კი 4-9 თვე.

ჭარხალი – გამოირჩევა მკვრივი სტრუქტურით, ნიადაგიდან ამოღების შემდეგ ეჭრება ფოთლები 2 სანტიმეტრის დონეზე, ირეცხება და ეწყობა გასაშრობად. 2-3 დღის შემდეგ გადააქვთ საცავში. დაუშვებელია დამპალი, ტექნიკურად დაზიანებული ნაყოფის მოხვედრა შესანახ მასაში. ჭარხალი ინახება 0-1 გრადუსზე 3-5 თვის განმავლობაში.

პროდუქტების განლაგება საცავში სწორად უნდა დაიგეგმოს, რათა ჰაერის მოძრაობას არ შეექმნას პრობლემა. საცავის კედლებიდან და იატაკიდან ცილდება 15-20 სანტიმეტრით, ხოლო რიგებს შორის – 10 სანტიმეტრით; ყუთები ისე უნდა დალაგდეს, რომ საცავში ჰაერმა თანაბრად იმოძრაოს.

საცავის დანესტიანება შესაძლებელია ხელსაწყოს გამოყენებით და, ასევე, იატაკის დასველებით, ფარდობით ტენიანობის ხელოვნურად შესაქმნელად გამოიყენება სპეციალური მოწყობილობა, რომელიც შეივსება წყლით და ვენტილატორის საშუალებით ხდება გარემოში წყლის გაფრქვევა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საცავში ტენიანობა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია შესანახი ნედლეულის ხარისხის შესანარჩუნებლად და დანახარჯის შესამცირებლად. შესანახ ტარაში ბოსტნეულის ჩაყრის სიმაღლე და მასა ისე უნდა იყოს, რომ არ უნდა გამოიწვიოს ნედლეულის ჩაჭყლეტვა და ჩახურება.

საწყობში დალაგებისას შესანახი ტარა იატაკიდან უნდა მოცილდეს 10-15 სანტიმეტრით, საწყობში ყუთები ერთმანეთის გვერდით ეწყობა 10-15 სანტიმეტრის შუალედით. ყუთები ერთმანეთთან ლაგდება გარკვეული დაშორებით, კერძოდ, 5-10 სანტიმეტრით.

ნედლეულის სწორი შენახვა ხელს უწყობს მოსავლის აღების შემდგომ დანაკარგების საგრძნობლად შემცირებას, რაც, თავისთავად, აისახება თქვენს კეთილდღეობაზე და თქვენი ფინანსური უზრუნველყოფის გარანტიაა.

ოლია ბერიძე-ველიჯანაშვილისა,
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასპინძის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის სპეციალისტი

მატიანე

მდინარე მტკვარზე ხიდის გახსნის ცერემონიალი. 1970 წელი

ყველა მომსახურება ერთ სივრცეში

სახელმწიფო სერვისების სწრაფი და კომფორტული მიღება ასპინძელებისთვის მიმდინარე წლის 11 აგვისტოდან გახდა შესაძლებელი. სამცხე-ჯავახეთში საჯარო რეესტრისა და სერვისების განვითარების სააგენტოს ორი ახალი ტერიტორიული სამსახური ამოქმედდა ასპინძასა და ნინოწმინდაში.

2015 წელს 11 აგვისტოს ასპინძას იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი** სტუმრობდა, რომელმაც ახალი მომსახურების ოფისი გახსნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელები **შიო ხეცურიანი** და **პაპუნა უგრეხელიძე**.

მარიამობას 104 წლის ქალბატონს მარიამ ჩოხელს მიულოცეს

2015 წლის 28 აგვისტოს ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა **ანა ტივაძემ**, ასპინძის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილების უფროსმა **ქეთევან მამუკაშვილმა** და გამგეობის სხვა თანამშრომლებმა სოფელ ორგორაში, რაიონის უხუცეს ადამიანს, 104 წლის **მარიამ ჩოხელს** მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს და საჩუქრად ტკბილეულთან ერთად სურსათიც გადასცეს.

გაზეთ „ასპინძის სიახლენის“ რედკოლეგია, თავის მხრივ, უერთდება ამ მილოცვას და ქალბატონ მარიამს უსურვებს ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

საკუთარი ინფორმაცია

სკოლამდელ დაწესებულებებში მუშაობა განახლდა

2015 წლის 1 სექტემბრიდან საზაფხულო არდადეგების შემდეგ მუშაობა დაიწყო სოფლების – ტოლოშისა და რუსთავის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.

სოფელ რუსთავის საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მენეჯერის მზია ჯუხარაშვილის ინფორმაციით, ბაღში 27 აღსაზრდელია, მოქმედებს შერეული ჯგუფი, სადაც 3 წლიდან 6 წლამდე ასაკის ბავშვები არიან.

სოფელ ტოლოშში საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მენეჯერის ნანა აივაზოვის ცნობით კი 1 სექტემბრის მონაცემებით საბავშვო ბაღში 18 აღსაზრდელია, აქაც, ისევე როგორც სოფელ რუსთავში, შერეული ჯგუფი მოქმედებს და 3-დან 6 წლამდე ბავშვებით არიან დაკომპლექტებული.

აქვე აღსანიშნავია, რომ ორივე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, აქვთ ცივი და ცხელი წყალი, ცალ-ცალკე აქვთ ბავშვებსა და პედაგოგებს სველი წერტილები, საბავშვო ბაღის ეზოებში კეთილმოწყობილია სათამაშო მოედნები და ისინი აკმაყოფილებენ თანამედროვე სტანდარტებს.

რაც შეეხება ასპინძის №1 და №2 საბავშვო ბაღებს, აქ კვლავ მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. №2 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებას 2015 წლის 1 ოქტომბრიდან განაახლებს.

სოფელ საროში დიდთა მონასტრის ეზოში კელიები მოეწყობა

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე დამტკიცდა – „ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ საროში სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიის მართლმადიდებლური ეკლესიის საკუთრებაში არსებული კელიების მოწყობისა და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების“ დასამტკიცებლად წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

ახალციხის მრ. ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიასთან არსებული ასპინძის სამრევლო სკოლის მესვეურებს

წმ.იოანე ოქროპირის ბრძანებს, – „განათლების, სწავლების და აღზრდის უმთავრესი მიზანი ამქვეყნად ზეცად ამაღლებაა“; წმ.ილია მართლის აზრით კი – „ის აქაც ეწაფება უკვდავების წყაროს“!

ეს ის უკვდავების წყაროა, რომელსაც თქვენ უანგაროდ აზიარებთ მომავალ თაობას. თქვენ მიერ დაარსებულ სამრევლო სკოლაში ჩვენ მოგვეცა საშუალება ვეზიაროთ ცოდნას, ჩავუღრმავდეთ ქრისტიანული სარწმუნოების ძირითად არსს. თქვენ ნამდვილად თესავთ სიკეთეს, სიყვარულს მოყვასისა და, ზოგადად, ადამიანებისადმი.

ამიტომაც, უდიდეს მადლიერებას გამოვხატავ თქვენ მიმართ, რომ გამინათეთ სულის არეალი და მომეცით საშუალება ვიწამო ის, რაც ესოდენ უძვირფასესია ადამიანისთვის – მომავლის რწმენა და იმედი.

ზურაბ თურქაძე

გარე განათების მოწყობითი სამუშაოები გრძელდება

უკვე წელიწადზე მეტია ფუნქციონირებს „ასპინძის გარეგანათება“ (დირექტორი ვასილ ბერიძე), სადაც 11 ადამიანია დასაქმებული.

ასპინძის მუნიციპალიტეტის ააიპ „გარეგანათების“ ინიციატივით ასპინძაში თამარის, ვარძიის, რუსთაველის ქუჩებზე შეიცვალა და დამონტაჟდა ელექტროსადენები, ხოლო 9 აპრილის, დედაენის, ერისთავის, ფალიაშვილის, გურამიშვილის, ჯავახიშვილისა და რუსთაველის ქუჩებზე შეიცვალა გარე განათების ფარნები.

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში – თმოგვში, ტოლოშში, რუსთავსა და იდუმალაში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ავტოამომრთველებს, ფოტოთვლებსა და ფარებს, ასევე ასპინძის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში სოფელ ოთაში მიმდინარეობს გარეგანათების მოწყობითი სამუშაოები, სადაც უნდა დამონტაჟდეს ლითონის 17 ახალი ბოძი და 41 ახალი ლამპიონი.

ნიჯგორისა და აწყვიტის დამაკავშირებელ ხიდს რეაბილიტაცია ჩაუტარდა

ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, სოფლების – ნიჯგორისა და აწყვიტის დამაკავშირებელ ხიდს რეაბილიტაცია ჩაუტარდა – ხიდზე ამორტიზირებული საფარი შეიცვალა ახალი ხე-მასალით.

გილოცავთ, ჩვენო რეზო!

ამბობენ, რაც უფრო მეტი წლები ემატება ადამიანს, უფრო მეტი ჯაფაც ადგას თავზეო – ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, საფიქრალ-სადარდებელი – უამრავი.

ახალგაზრდობის ასაკში, თითქმის არ ვიცით, რა არის დარდი, რადგან, ხალისიც მეტია და ენერგიაც... თუმცა, თუ ადამიანი არა მარტო თავის, არამედ საერთო საქმეშია ჩართული, მაშინ სხვისი საქმეც თავისი ხდება. ეს განსაკუთრებით სპორტულ სარბიელზე გამომსვლელებზე ითქმის – „ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის“! – უამისოდ გამარჯვებების მოპოვება შეუძლებელია.

ასე ერთსულოვნებით, ერთმანეთის მხარდამხარ, განვლიეთ, ჩვენო რეზო, ახალგაზრდობის მრავალი საინტერესო წელი, ასე, ერთმანეთის მხარდამხარ, არაერთხელ მოვიარეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონი, ქალაქი თუ დაბა და ჩვენი გულშემატკივრების გულის გასახარად, თავდაუზოგავად ვიასპარეზეთ, რათა ამ პატარა რაიონიდან ჩვენი სიტყვაც გვეთქვა ქართულ სპორტში.

ჩვენ, საფეხბურთო გუნდ „ვარძიის“ ვეტერანმა ფეხბურთელებმა, კარგად ვიცით, ვინ ხარ შენ! მართლაც კაცური კაცის სახელით რომ იცხოვრე და, შემთხვევითი არ იყო, ჩვენი გუნდის თავკაცობაც, სპორტულ ენაზე რომ ვთქვათ, ჩვენი გუნდის კაპიტნობაც შენ რომ მოგანდეთ 1973 წელს და შემდგომ, სხვადასხვა წლებშიც. ჩვენი ფეხბურთის გუნდი ხომ ხშირად შენზე, როგორც გამოცდილ სპორტსმენზე ამყარებდა დიდ იმედებს და, აკი, არც გაგიქარწყლებია ეს იმედები – „ვარძია“ ყოველთვის ამბობდა თავის სიტყვას რესპუბლიკურ პირველობებზე და გულშემატკივრებითაც ყოველთვის განებივრებულები ვიყავით.

მერე, ამ გუნდის მწვრთნელად შენი დანიშვნის შემდეგ, ჩვენი გუნდი, რაიონის ისტორიაში პირველად, საქართველოს პირველობაზე გამარჯვებული, მეორე გუნდებს შორის, პირველ საფეხბურთო გუნდებშიც აღმოვჩნდით და არაერთხელ წარმატებითაც ვიასპარეზეთ დიდი ქალაქებისა და რაიონების გუნდებს შორის.

ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, როცა შენ უკვე 70 წელი შეგისრულდა, ისევ იმ ახალგაზრდული წრფელი გულითა და სიყვარულით გვინდა მოგილოცოთ იუბილე და გისურვოთ, ჩვენო რეზო, უკვე ჭარმაგ ადამიანს, რაც კი ყველაზე მეტად სჭირდება, ჯანმრთელობა და დიდი ოჯახური სითბო შენს საყვარელ გვერდით მყოფელებთან ერთად.

გჯეროდეს, რაც უფრო მეტი დრო გავა, გარდასულ დღეთა ნოსტალგიაც მეტი იქნება, მაგრამ ტკბილად მოსაგონარი წლები გაგიხანგრძლივებენ სიცოცხლეს და მოგცემენ იმის განცდას, რომ სიამაყით იარო შენი საყვარელი ასპინძელების გვერდით.

სპორტულ კლუბ „ვარძიის“ ვეტერანი ფეხბურთელები

ნასოფლარ როკეთის ტოპონიმები

ნასოფლარი როკეთი მდებარეობს ისტორიული ხერთვისის სიახლოვეს, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მას სამხრეთიდან სოფელ ტოლოშის ტერიტორია ესაზღვრება, ჩრდილოეთიდან – სოფელი აწყვიტა. გადმოცემის თანახმად:

როკეთი „ლამაზი ტყიანი ადგილი ყოფილა, გაუროკიათ, გაუჩეხიათ და სოფელი გაუშენებიათ, აქედან მოდის მისი სახელწოდება“. როკეთში ძირითადად ცხოვრობდნენ **დავლაშერიძეები** და **ხმალაძეები**, რომლებიც 1944 წელს გადმოასახლეს სოფელ **ტოლოშში**.

ნამგალიები - „ასე ყანები იყო ნამგლისებურად და დაარქვეს ნამგალიები“.

ფლატო (ფლატე) – „გუბიები იყო დატბორილი ადგილები და ფლატო ერქვა. სულხან საბას განმარტებით ფლატე არის მიწა ჩამონგრეული. (ს.ს. ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, ტ.IV,გვ.195, თბ.,1966). ფლატე სოფელია ადიგენის მუნიციპალიტეტში.

ნარიანი ხევი – „შავი ეკალი იცის მაგ ხევზე, ნარი ეკალია. სულხან საბას მიხედვით ნარი არის ეკლიანი ბალახი.(www.npls.gov.ge).

საპირავ – „სწორი ადგილი იყო და გადასახედი ჰქონდა“.

ქვაცხელიები – „ტიტველა ადგილია, მზე დააჭერდა ფიქალი (ბრტყელი ქვა) გაცხელდებოდა. მაგედან დარქმევია სახელწოდება“.

ბერბუკები – როკეთის სიახლოვეს მდებარე ტერიტორიას უწოდებდნენ. ბერბუკები ამავე სახელწოდების ტერიტორია არის სოფელს საროში და სოფელ ერკოტაშიც. როგორც პროფესორი **მ.ბერიძე** აღნიშნავს, ბერბუკი არის „ერთდაგვარი მცენარე, რომელსაც დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლის მკვრივი ღერო აქვ, .იკეთებს ყვითელი ფერის ყვავილს..“ (ციტ. **თ.იველაშვილი.**სოფელ საროს ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმები, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, N12, გვ.11, 2012).

ჭომათღელა – სახელწოდება გაურკვეველია.

ელდარ ზაზაძე

რედკოლეგია